

საქართველოში გრიგორიანული ეკლესიის აღმშენებლობის გამომწვევები

დოკუმენტური მასალა

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეკლესიის ეროვნული ცენტრი; ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემია

საქართველოში მცხოვრებ გრიგორიანული (იგივე – სომხეთის მონოფიზიტური) ეკლესიის მიმდევართა ტაძრების ხუროთმოძღვრება ერთი იმ საკითხთაგანია, რომელთაც სწავლულთა ხელი აშკარად დააკლდა. ამას არაერთი მიზეზი აქვს – წმინდა მეცნიერულიც (ამ საგანზე მსჯელობის დაწყება მთელ რიგ სხვათა გამორკვევას გულისხმობს) და სხვა რიგისაც: სამწუხაროდ, სავსებით „აკადემიურ“ სჯასაც ხომ რთულად ეხლართება აღმსარებლობითი, ეთნო-კულტურული და თვით პოლიტიკური მიზანსწრაფვა და ობიექტურობის ძიებამაც კი შეიძლება ხან სომეხთ, ხანაც ქართველთა მოყვარულობის მოძალებელა მოიტანოს.

კაცმა რომ თქვას, ბოლო დრომდე საქართველოს საკუთრივ გრიგორიანული ეკლესიების არქიტექტურაზე დანერგილი ერთი ნაშრომილა გვექონდა – თბილისის სომხურ ტაძრებზე ბ-ნი მურად პასრატიანის სომხური ხელოვნებისადმი მიძღვნილ II საერთაშორისო სიმპოზიუმზე გამოტანილი მოხსენება². და მხოლოდ ბოლო ათწლეულებში გამოჩნდა მკვლევარი, ვისთვისაც ეს საკითხი ერთი უმთავრესთაგანია

XX საუკუნეში სომეხნი მონოფიზიტობას უკადრისობდნენ, ორიოდ წლის წინ კი ერზიამის საყდრის გაერცელებულ რუსულენოვან საინფორმაციო მასალებში ამოვიკითხე, სომხეთის ეკლესიის მრწამსი ქალკედონურისგან არაფრით განსხვავდებაო. ცხადია, ეს ლეთისმეტყველთა და ეკლესიის ისტორიკოსთა გასარკვევია და თუ მართლაც ასეა, მაშინ ასახსნელი ისიც იქნება, რაღაზე ეკამათებოდნენ საუკუნეების მანძილზე სომეხთა მოძღვარნი ბერძენთა თუ ქართველ თეოლოგოსებსა და მღვდელმთავართ.

М. Асратян, *Памятники средневековой армянской архитектуры в Тбилиси. II Международный симпозиум по армянскому искусству* (Ереван, 1978). ამ ნაშრომში უცნაური, თუმცა ნიშანდობლივი უზუსტობანი იქნება. აი, მაგ., ვანქზე (იგივე „არანცვანქი“ ან „ჟამაევანქი“) ნათქვამია, ის „ქალაქის ცენტრალურ ნაწილში“ აშენდაო (გვ. 6). ადრე, გვ. 3-ზე კი ამბობს, რომ „ცენტრალური“ მისთვის „ქალაქის ძველისძველ ბირთვის ნიშნავს“; არადა, „ვანქი“ XIX ს-მდე გარეთუბანში, ე. ი. სწორედ რომ თბილისის „ძველისძველი ბირთვის“ გარეთ იმყოფებოდა. ან კიდევ, დღეს „ქვემო ბეთლემად“ ნოდებული წმ. სტეფანეს დედათა მონასტერი, მისი მტკიცებით 1717 წელს თლოლი ქვითაა აგებული (გვ. 12), სინამდვილეში კი იგი XIX ს-ის მეორე ნახევრის აგურის ნაგებობაა და ა. შ.

- ბ-ნი გიორგი ვაგოშიძე, რომელმაც რამდენიმე წლის წინ ხოჯორნის ეკლესიაზე მონოგრაფია, შარშან კი (არმენოლოგ ქ-ნ ნათია ჩანტლაძესთან ერთად) ისტორიული ქვემო ქართლის ნაწილის „სომეხთა“ ეკლესიების მიმოხილვა გამოსცა¹. იმედია, ეს მუშაობა კვლავაც გაგრძელდება და მომავალში ჩვენ დანერვილებითი მონაცემები და, შესაბამისად, საქართველოს გრიგორიანთაგან წარმოებული მშენებლობის სრული სურათიც გვექნება. მაგრამ ზოგიერთი წინასწარული მოსაზრების გამოთქმის საშუალებას ესა და ზოგი რამ სხვა მასალა ახლავე იძლევა.

ცალკე აღებული ხოჯორნის ტაძარიც საგულისხმოდ გვითვალსაჩინოებს ქვემო ქართლში 500 წლის მანძილზე ორი მოსაზღვრე კულტურის ქართულისა და სომხურის - და ორი კონფესიის თანაქმედებას: X საუკუნეში დიოფიზიტი ქართველების აშენებული, როგორც ჩანს, ძლიერ დაზიანებული ნაგებობა XI-ს-ში მონოფიზიტი დამკვეთის, მხარგრძელთაგან ერთის მიერ ისევ და ისევ უპირატესად ქართული ხუროთმოძღვრების რიგზე იქნა აღდგენილი; XIII საუკუნის განახლებას უკვე სომხური გავლენა ემჩნევა, XV ს-ის შეკეთება კი, სომხეთიდან გადმოსახლებულებმა თავისი ხელოვნების ჩვეულებათაებრ განახორციელეს.

ანინდელი ბოლნისის, დმანისის, თეთრინყაროს და მარნეულის რაიონებში შუასაუკუნოვანი გრიგორიანთა ეკლესიები (XIX ს-ის ეკლესიებს არ შეეხებები) მიახლოებით ოთხ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: ა. ძველი ქართული, მონოფიზიტთა გადაკეთებული ტაძრები; ბ. გრიგორიანული, არქიტექტურით გამოკვეთილად ქართული ყაიდის ნაგებობები; გ. გრიგორიანული, ხუროთმოძღვრულად უმეტესწილად მაგრამ ხელობის მხრივ ადგილობრივ-ქვემოქართლური შენობები; დ. სომხური ხუროთმოძღვრული ტრადიციის ეკლესიები. საყურადღებოა ამ ჯგუფების რაოდენობრივი მაჩვენებლები - პირველში 12 ნაგებობა შედის, მეორეში - 7, მესამეში - 12, მეოთხეში კი - 8. ისტორიული სომხეთის სიახლოვისას, ორი ქვეყნის სასაზღვრო, ძველთაგანვე ტომობრივად შერეული მოსახლეობის სამკვიდრო მხარეში თითქოსდა „სუფთა“ სომხური ხელოვნების მეტი ნიმუში იყო მოსალოდნელი. დამაფიქრებელია უკანასკნელთა ხნოვანებაც - X საუკუნეზე ძველი აქ სომხური საზოგადოდ არაფერი ჩანს და - რაც განსაკუთრებით უცნაურია ძალიან ცოტა რამაა ამ კუთხეში სომეხ კვირიკიანთა უფლობის დროისა. თვით მათ დედაქალაქ სამშვილდეშიც აკი გრიგორიანული ტაძარი IX-X საუკუნეების ქართულ ბაზილიკაში გამართეს,

სხვათა შორის, ვანქის მონასტრის ქალაქის ზღუდის გარეთ განლაგება შეიძლება არც თუ შემთხვევითი იყოს. საქმე ისაა, რომ თუ, ვთქვათ, იერუსალიმში, კონსტანტინოპოლში, ლათინურ დასავლეთში V ს-დან, მოგვიანებით თუნდაც რუსეთში, მრავლად იყო ე. წ. „ქალაქის მონასტრები“, საქართველომ ისინი, თითქოს, არ იცის. მგონი, პირველი ასეთი სა-ვანე 1823 წელს მონასტრად გადაკეთებული დარეჯან დედოფლის ნაბინავარი „აჩინოა“. ადრე დასახლებებში მონასტერთა მეტოქეები თუ იპოვებოდა (მაგ., თბილისში იერუსალიმის წმ. ჯერის, სინას მთის წმ. ეკატერინეს თუ დავითგარეჯის საფანეებისა). ასე რომ, თუ XI ს-ის დასაწყისში თბილისის მეტეხის წინამორბედი ნაგებობა სამონასტრო იყო (თ. ჯოჯუა, 1013 წლის ოთხთავის (ქუთ. 366-ის) ვადანერის ადგილისათვის, *საქართველოს საძველენი*, 2 (2002), ეს, იქნებ, მიგვანიშნებდეს, საგოდებელ-სოდებელ-ისანი თბილისის საბოლოოდ ჯერ არ შერწყმოდა.

გ. ვაგოშიძე, *ხოჯორნის გუმბათიანი ეკლესია. ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან* (თბილისი, 2003); გ. ვაგოშიძე, ნ. ჩანტლაძე, *მონოფიზიტური ძეგლები საქართველოში (არქიტექტურა, რელიეფები, წარწერები) I. ქვემო ქართლი* (თბილისი, 2009).

რისთვისაც ჩრდილოეთ კედელში (არცთუ ხერხიანად!) ემბაზი ჩაუდგამთ.¹ გვიან შუა საუკუნეებშიც კი, ქართული მოსახლეობის შეთხელების ყამს, გამოხატულად სომხური ნახელავი, როგორც დავინახეთ, საკმაოდ იშვიათია და აშკარად „სომხური“ ბინადორის ეკლესიაც კი სამშენებლო ხელოვნების მხრივ – „ადგილობრივია“.²

გ. გაგოშიძე და ნ. ჩანტლაძე ამ თავისებურ მდგომარეობას ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილ ნათქვამს უფარდებენ, ქვემო ქართლში (მაშინ – სომხითი) „მოსახლენი არიან“-ო „სარწმუნოებით სომეხნი,... არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა“. მეცნიერი უფლისწულის ეს ცნობა, სხვა წყაროებით და ონომასტიკით შემტკიცებული, ავტორების სამართლიანი აზრით, მიგვიითებს ამ კუთხეში გაგრიგორიანებულ-„გასომხებული“ ქართველების არსებობაზე (რომელთაც, ალბათ, ჩამოსახლებული სომხობაც ერწყმოდა). ისმის კითხვა, არის თუ არა ეს მარტოოდენ ქვემოქართლური მოვლენა. ყურადღებას იმსახურებს – ამ კუთხითაც! – ბ-ნი ვახტანგ ბერიძის დიდტანიანი შრომა XVI-XVIII საუკუნეების ქართულ ტაძართმშენებლობაზე, სადაც შეტანილია მთელი რიგი გრიგორიანული ტაძრებისა (ზუმბიანი, ალის ნაქალაქარის გუმბათიანი, სავარაუდოდ – ცხინვალის 1718 წლის ტაძრები, თეკენების 1688 წლის „შველის ეკლესია“, გრემის ორი სამლოცველო და – კვლავ სავარაუდოდ – გრემისავე ე. წ. „თარსა გალავანი“).³ ხოლო ზოგიც – ნახსენებია (თბილისის ნორაშენის, სურბ ნიშნის, ქარაფის ნმ. გიორგის, ჯივრაშენის ეკლესიები).⁴ რა აძლევს ბ-ნი ვახტანგს საამისო საფუძველს? რა თქმა უნდა ის, რომ ყველა მათგანი ქართულ ხუროთმოძღვრულ თუ სამშენებლო ტრადიციას არის შეზიარებული. აი, მაგ., ალის გუმბათიან ეკლესიაზე იგი წერს: „საკუთრივ არქიტექტურის მხრივ [ის] არ განსხვავდება იმდროინდელ ქართულ ტაძართაგან“-ო. ეს მის გარე იერსაც შეეხება და მის ინტერიერსაც, სადაც მხოლოოდენ საკურთხეელის ძლიერ აწევა და ჩრდილოეთ კედელში გრიგორიანთა წესით მოქცეული ემბაზი გვაგებინებს მის „სომხურობას“, მის აღმსარებლობით რაობას.⁵ ძალზე იოლად, თუმცა – შესაძლოა გადაკეთების გამო⁶ – ნაკლებ ცალსახად „ბინავდება“ ცხინვალის ღმრთისმშობლის ეკლესიაც. მისი ძირითადი შემადგენლები, ოდნავ გამარტივებული სახით, შეგვიძლია ვნახოთ ერთი წლით ადრე, 1717 წელს არაგვის ერისთავის ძის, მიტროფანე ნინოწმინდელისა და ქაყუბად კობიაშვილის მოთავეობით აგებულ, უდაოდ ქართულ-მართლმადიდებლურ ბოდორნის ტაძარში. აქაც არის გუმბათის ყელს აყოლებული და კარნიზს ქვემოთ შემოსალტული ლილვებით მოხაზული სწორკუთხედები სარკმლების ირგვლივ და აგურების ამოღებით „გამოხატული“

გ. გაგოშიძე, ნ. ჩანტლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 68-69.

იქვე, გვ. 82-83.

ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება (თბილისი, 1994), გვ. 28-32, 95-96, 120, 139-141.

იქვე, გვ. 18, 26, 220-221.

იქვე, გვ. 30-32. ქართული გარემოსთვის უფრო „უცხოვდ“ გამოიყურება იქვე მდგომი სამნავიანი ბაზილიკა. მაგრამ, ალბათ, მის „გრიგორიანულობაზე“ მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით საუბარი ჯერ ნაადრევია; უნდა დაელოდოთ, სანამ სწორედ ბაზილიკურობის მხრივ იქნება შესწავლილი გვიანი შუა საუკუნეების ქართული ბაზილიკები ან XVI-XVIII სს-ში განახლებისას „გაბაზილიკებული“ გუმბათიანი ტაძრები (ვალე, შიომღვიმისა მიძინების ტაძარი), თუ მაშინვე გადაკეთებული თბილისის „ანჩისხატი“.

⁶ ხომ არ არის, მაგ., დაგრძელებული დასავლეთი მკლავი? გვიანმა ჩარევამ ხომ არ „გააქრო“ ვანივი მკლავების მამკობი ჯერების ქვედა მკლავები, მანვე ხომ არ გააჩინა აქ „ევროპული ტიპის“ სარკმლები (ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, სურ. 79, ტაბ. 117).

გოლგოთის ჯვრები, XVI საუკუნეში კახეთის ოსტატთა შექმნილი და ქართლში ახლალა „გადმოსული“. ცხინვალის ეკლესიის მომგებელთა სახელეხსაც უფრო მეტი საერთო ქართულ ონომასტიკონთან აქვს.¹ ნაკლებ ერთმნიშვნელოვანია ვითარება ზუმბიანის და გრემის ეკლესიებთან დაკავშირებით. აქ, უწინარესად, გუმბათის დასავლეთისკენ დაძვრა ხედება თვალს, რაც ზოგადად ქართული ტაძართმშენებლობისთვის არაა დამახასიათებელი. ოღონდ აქ რამდენიმე გარემოებაცაა სათვალავში ჩასაგდები. პირველ ყოვლისა, ყურადღება გეგმარებას უნდა მიექცეს (სამივე ერთი და იმავე ტიპის გუმბათიანი ნაგებობაა). როგორც ვ. ბერიძე აღნიშნავს, შიგნით ჯვრისებრი ეს ნაგებობები, კედლების სისქეში „ამოღებული“ დასავლეთი და გვერდითი მკლავებით, იყალთოს მონასტრის წმ. სამების VI საუკუნის ეკლესიის ანალოგიურია, ის კი, თავის მხრივ, მცხეთის წმ. ჯვრის მცირე ეკლესიისა.² ამ კომპოზიციაში გეგმის განვრცობა უმთავრესად საკურთხეველის განვითარებით შეიძლება, ეს კი, შესაბამისად, გუმბათის დასავლეთით გადაადგილებას იწვევს – ვ. ბერიძე მიგვიჩივებს კიდევ, რომ იყალთოს უძველეს ტაძარში მოცულობის გასაზოგადებლად ნართექსი მოანწყვეს. რა თქმა უნდა, შესაძლოა გრემსა და, მეტადრე, ზუმბიანში ასიმეტრიულობა სომხურ ნაგებობათა აგების ძველისძველი, VII საუკუნიდან ნამოსული წესის გამოძახილი იყოს. ამასთან კი, უნდა გავიხსენოთ, რომ ამგვარივე რამ „თავისუფალი ჯვრის“ სახის ქართულ ეკლესიებზეც შეიმჩნევა, სადაც XI საუკუნიდან სამივე სწორკუთხა მკლავი დამოკლდა და ეგვეე ამ ტიპის XVI საუკუნის ნიმუშებზეც ჩანს (ტყვირი, ქორეისუბანი, ზედა საქარის „გულბანდიანი“, სავანის „გიორგისეული“).³ ზუმბიანის ეკლესიასთან მიმართებით ერთგვარი „ექსპერიმენტულობაცაა“ აღსანიშნო⁴ – ეს, იქნებ, მეტად არქაული გეგმის „გახსენებითაც“ აიხსნებოდეს (რაც ასევე არცთუ უცნობი რამაა XV-XVIII სს-ის ქართულ ხუროთმოძღვრებაში) და, ვთქვათ, ოსტატის ასე მცირე ზომებს გაუჩვეელობით (7,5x5,5 მ.). ამ კუთხით ყველაზე მახასიათებელი საფასადო ნიშებია – ორი აღმოსავლეთით და თითო-თითოც გვერდით ფასადებზე. ჩვეულებრივ ისინი ჩვენში, როგორც ცნობილია, საკურთხეველის აფსიდსა და პასტოფორიუმებს შორის გაჩენილი კედლის მასის განსატყირთავადაა ხოლმე მოხმობილი. ასეთივეა აღმოსავლეთი ნიშების დანიშნულება სომხეთშიც, ოღონდ იქ ისინი გრძივ კედლებზეც ჩნდება გვერდითი მკლავების მოსასაზღვრად და კონსტრუქციული მდგრადობისთვის საკმაოდ ხიფათიანადაც. ზუმბიანში სამკვეთლო-სადაიკენე არ გვაქვს და ოთხივე ნიშა აღმოსავლეთი მკლავის დაგრძელებით

შდრ. ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, სურ. 77 და 79, ტაბ. 113 და 115.

¹ ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29-30 (შდრ.: Г. Р. Чубинашвили. *Архитектура Кавкази*. (Тбилиси, 1959), გვ. 258-261). ნიკო ჩუბინაშვილი ამ გეგმას „სწორკუთხედში ჩანერილი ჯვრისას“ უწოდებს; იქნებ ღირდეს, გ. მილღეს ბურჯებიანი „ჩანერილი ჯვრისგან“ განსასხვავებლად, მას „სწორკუთხედში ჩანერილი მარტივი ჯვრისა“ დაეარქვათ. „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ქართული ეკლესიების მკლავების შეფარდებათა ცვალებადობის შესახებ იხ.: Д. Туманшвили. Тема своидаиного креста в ерцадხავისთინи грузинской архитектуры. *ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმი* (თბილისი, 1977); გვიანი მაგალითებისათვის იხ.: ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 156-166; აქვე სურ. 141-151-ის დათვალეიერებით ნათლად ირკვევა, რომ საკურთხეველის აფსიდის სიღრმის ცოტად თუ ბევრად გაზრდას გუმბათის საპირისპიროდ მეტად ან ნაკლებად გადანევა მოსდევს.

ასეთივე დასკვნა გამოიტანეს ეკლესიის 2008-2009 წწ-ის შეკეთებასთან დაკავშირებით არქიტექტორ-რესტავრატორმა ნინო ყანჩელმა და ხელოვნებათმცოდნე ნანა კეციანმა.

ნარმოქმნილი კედლების ჭარბი სისქის მოცილების საშუალებაა. ამდენად, ჩრდილოეთი და სამხრეთი ნიშებიც აქ კონსტრუქციული მოსაზრებითაა გამოყენებული, რაც უფრო ქართულ არქიტექტურულ ტრადიციას ეხმიანება, სადაც ამის საუკეთესო მაგალითები კუმურდოსა და ოშკის ტაძრებია. მხატვრული თვალსაზრისით ისინი, როგორც ვ. ბერიძე შენიშნავს, არასიმეტრიულობის განცდას კიდევ ამძაფრებს.¹ არ გამოვრიცხავ კი, რომ მშენებლის (გინდაც მცდარი!) ჩანაფიქრი საფასადო სიბრტყის შემცირება და, ამდენად, მისი „შემსუბუქება“ ყოფილიყო. ყოველივე ეს, საშენ მასალასა (სომხეთისთვის ნაკლებად ჩვეული აგური) და, განსაკუთრებით, გუმბათის ყელის მორთულობასთან ერთად, რომელიც ზუმბიანშიცა და გრემშიც ქართლის XVI-XVII საუკუნეების მართლმადიდებელთა ტაძრებივით (თბილისის „ჯვარის მამა“, თბილისისავე „მეტეხის“ აღდგენილი გუმბათი, ლოუზნის „ორმოცნი“, ანანურის „ღვთაება“) ყინცვისის ნმ. ნიკოლოზის (XIII ს-ის დამდეგი) ხუროთმოძღვრებიდან მომდინარეობს,² სამთავ ამ ეკლესიას ქართულ არქიტექტურას აკავშირებს.

იგივე შეიძლება ვთქვათ გრემის „თარსა-გალავანზეც“. ეს ნაგებობა მეტად უცნაური კია (ვის უნახავს, მართლაც, სიმაღლის შუაზე ორ სართულად გაყოფილი საკურთხეველი?), ოღონდ მხატვრულ-ხუროთმოძღვრული მონაცემების კი არა, ფუნქციის უჩვეულობის გამო, რომლის შესახებ ჯერხანობით ვერაფერს ვამბობთ.³

ეს, იქნებ, ხუროთა „გვარ-ტომობას“, მათ სისხლისმიერ „ქართველობას“ არც ნიშნავდეს – ზუმბიანის კედლებში ჩატანებული ჯვრები ხომ სომხური ხელობისაა (თუმცა ვიცით კი, რომ ისინი შენობის თანადროულია?) – ხოლო უეჭველი ისაა, რომ მათთვის „მშობლიური“ ხუროთმოძღვრება – ქართულია.⁴ არც ის უნდა იყოს დაუჯერებელი, რომ იმხანად ჩვენებურ გრიგორიანებს „საკუთარი“ ოსტატები არც პყლოდათ და ადგილობრივ ცნობილთ ეძახდნენ. ვ. ბერიძის შრომაში საიმისო საბუთიც იძებნება, რომ იმხანად ოსტატის მიწვევისას არც მის ეროვნებას დაგიდევდნენ დიდად და არც, როგორც ჩანს, აღმსარებლობას. იმავე ქვემო ქართლში უთუოდ სომეხი ღარიბჯანა უშენებს თურმან და ქეთევან თურმანიძეებს 1658-1675 წლებს შუა ხატისსოფლის ეკლესიას; ცოტა მოგვიანებით, 1676-1688 წლებში ტბისის ეკლესიის ასაშენებლად ერთი მანაც სომეხი, პოლოსა, იხმო პაპუნა გომტაშაბის ძე ბარათაშვილმა (თავ-ოსტატთაგან მეორე, პაპუნა, სომეხიც შეიძლება იყოს და ქართველიც, ისევე, როგორც XVII ს-ის მეორე ნახევრის გორულის ზემო ეკლესიის მამულებელი პაპია).⁵ მაგრამ – XIX საუკუნის ჩვენს მეგაზეთეებს გამოთქმას თუ დავესესხებით – „მაგარი ისაა“, რომ არაქართველთა მონაწილეობა მარტოოდენ ხატისსოფლის ეკლესიის გარე იერს თუ დაეტყო (იქნებ კიდევ ტბისის კანკელის „ორინტალურ“ მორთულობას). აქვე, „სიმეტრიისათვის“ გასახსენებელია გრიგორიანული ეკლესიის უეჭველად ქართველი ქვითხურო მაზმიშვილი, რომელმაც თავისი სახელი ზარგალის 1657 წლის ეკლესიის კარნიზზე ამოკეთა.⁶ თუ ჩნდება

ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

შდრ. იქვე, გვ. 26-27.

შდრ.: Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 461; ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 140-141.

ამასვე აღნიშნავენ სოფ. ნაეისის 1493 წლის ცალწაიან, ქვა-აგურით ნაშენ სამლოცველოზე – იქაც „სომხურობა“ კედელში შედგმული ემბაზითლა მიიწინება (P. Шмерлинг, В. Долидзе, Т. Барнавели, *Окрестности Тбилиси* (Тбилиси, 1960), გვ. 67).

ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42-43, 71, 80-83.

გ. გაგოშიძე, ნ. ჩანტლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

რამ სომხური ხელოვნებიდან გამომდინარე, ესეც სავესებით „სიმეტრიულად“ მართლმადიდებელთა და გრიგორიანთა სალოცავებზე. 1683 წელს ორბელ (იგივე ვახტანგ) ორბელიანის აშენებულ ტანძრის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის განივ ფასადებზე სომხურ ქვაზე კვეთილობაში ცნობილი მოხაზულობის ჯვრებია „აღმართული“,¹ 1688 წლის – არქიტექტურითა თუ სამკაულით სხვაფრივ სავესებით „ქართულ“ მონოფიზიტურ თეკენებში ცხოველს ჩაფურენილი არწივისებრი ფრინველი დამუშავებით, თითქოს, უფრო ამგვარი სომხური გამოსახულებების მსგავსია.²

ძალზე საგულისხმო მგონია დასმული საკითხისთვის თბილისის სომხური ეკლესიები. ჩვენ იმდენად შევეჩვიეთ საუკუნეების მანძილზე ჩვენს დედაქალაქში სომეხ ბინადართა სიმრავლეს, ზიგჯერ სიჭარბესაც კი, რომ პირველად შემაცბუნებელიც კია აქაურ გრიგორიანულ ტაძართა შეფარდებითი თანაც უგამონაკლისო! – გვიანდელთა. კაცმა რომ თქვას, სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარე მოზრდილ ქალაქში მოსახლეობა იმთავითვე ჭრელი უნდა ყოფილიყო. როგორც ყველგან აღმოსავლეთში, აქ დამკვიდრებულ უცხოტომელთა შორის სომხობა სავესებით მოსალოდნელია, ისევე როგორც VII საუკუნის აქეთ – მცხეთისა და სომეხთა ეკლესიების საბოლოო აღმსარებლობითი განყოფის კვალად – მათი საკუთარი ეკლესიების არსებობაც. ბევრს არაფერს ნიშნავს მათი ჩვენამდე მოუღწევლობაც – უკვალოდ არის ხომ გამქრალი, ვთქვათ, წმ. ჰაბო ტფილელის „მარტივობაში“ ნახსენები ორმოც მონაშეთა ანდა XIII საუკუნეში, ერთ ხანს დანიშნურებული, მერე კი დავით VII ულუს მიერ შერისხული მესტუმრე ჯიქურის აღშენებული წმ. ქრისტინეს ეკლესიები. უფრო მრავლისმთქმელია, რომ თავად ხსენება სომხურ ტაძართა XIII საუკუნის შუა ხანამდე, არსებითად, არც გვხვდება. გვაქვს ერთადერთი, ისიც სათუო ცნობა: 1197 წელს სადღაც (სავარაუდოდ – თბილისში!) აღდგომის თარიღზე ქართველთა და სომეხთა ცილობის შესახებ, რასაც შეხლა-შემოხლა და ერთი ეკლესიის დანვა მოჰყოლია.³ აი, დავით VII ულუს ზეობაში კი დარწმუნებით ვიცით აქ მონოფიზიტური ეკლესიის აშენების ამბავი – სომეხი სწავლული იოანე

¹ ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

² გ. გაგოშიძე, ნ. ჩანტლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 54-57 (ასევე: ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 120), სურ. 44-45 – შდრ. ამ უკანასკნელს, მაგ., ლელარდის 1215 წ-ის ღმრთისმშობლის ეკლესიის სამხრეთი პორტალი ან ტანაატის მონასტრის XIII ს-ის ეკლესიის სამხრეთი კედელი (Л. А. Дурново, *Очерки изобразительного искусства средневековой Армении* (Москва, 1979), სურ. 49 და 51).

ვ. ბერიძე ტანძრის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მშენებლად სომეხს ვარაუდობს, თუმცა დასძენს, ეს ნაგებობა „გვეგვით, საერთო იერით, პროპორციებით, ცალკეული ელემენტებით ტრადიციული ქართული ძეგლი“ არისო (დასახ. ნაშრომი, გვ. 78). ხომ არ შეიძლება აქ გამოქანდაკებული ჯვრები „ინტერკულტურული“ გაცვლა-გამოცვლის მიმანიშნებლად ჩათვალოთ, როგორიცაა, მაგ., ერთი მხრივ, XIII ს-ის სომხურ ტაძრებზე 1030 წლის სამთავისის კათედრალის აღმოსავლეთი ფასადის სქემის გამოჩენა, მეორე მხრივ კი, იმავე XIII ს-ში დმანისის სიონის კარიბჭის დაგეგმარებისას სომხური გავითების მოშველიება-გადაზარება? სომეხ და ქართველ ოსტატთა თანამუშაულობის ადრეული, თვალსაჩინო მაგალითია 983-986 წწ-ში ვინმე თოდოსაკის მოთავეობით ატენის სიონის ფასადების განახლება და „მეორედ შემოება“; მისი შემადგენლობით სომხურ-ქართული დასი, როგორც საფუძვლიანად ფიქრობს გ. გაგოშიძე, ტაშირიდან უნდა მოეყვანათ (გ. გაგოშიძე, ხოფორნის... გვ. 51).

ა. აბდალაძე, *სომხურ ხელნაწერთა X-XIII საუკუნეების ანდერძ-მინანურების ცნობები საქართველოს შესახებ* (თბილისი, 2005), გვ. 114.

ერზინკაცი გვამცნობს, 1284 წელს ვიქადაგეო ბჭესთან ეკლესიისა, რომელიც პარონ უმეკმა ააგებინაო, სხვა ცნობით მონღოლთაგან თბილისს მოლტოლვილმა დიდვაჭარმა.¹ მაგრამ ამ ამბის შეტყობა ბევრს ვერაფერს გვშეუვლის, რადგან შემორჩენილებთან უმეკისეული აღმშენებლობის გაიგივება სააღბათოდ თუ შეიძლება. იგი უფრო აწინდელი სურბ გეგორკი ჰგონიათ.² არადა, ეს უკანასკნელი არა მხოლოდ გადაკეთებულ-გადასხვაფერებული ჩანს, ისეა გალესილ-შეღებილი, რომ სამშენებლო ფენების არა თუ გამიჯნვა-დათარიღება, დანახვაც კი შეუძლებელია. გარდა გამქრალი წარწერისა, რომელზეც, ცხადია, მსჯელობა ჭირს – ის ხომ შეიძლება არაზუსტად ამოკითხული, სხვაგნით გადმოტანილი და ა. შ. ყოფილიყო – სამსჯელოდ მისი გეგმარებალა გვრჩება. ტიპოლოგიურად ის ე. წ. „Kuppelhalle“-ს მოკლე რედაქციის ნიმუშთაგანია აფსიდის კუთხეებსა და კედლების შევრილების ერთ წყვილზე ჩამოყრდნობილი გუმბათით. თითქოსდა ეს დასათარიღებლად მყარი საფუძველია, ირკვევა კი, რომ გეგმის ნაწილთა შეფარდება და მისთანანი სურბ გეგორკისა XIII საუკუნის სომხურ „გუმბათოვან დარბაზებს“ ისევე მიუდგება, როგორც ამ ტიპის გვიანშუასაუკუნოვან ქართულ მაგალითებს.³ მრავალგზისი განახლება საზოგადოდ ციბილისის სომხური ეკლესიების ჩვეულებრივი ხვედრია, რაც ძალიან ართულებს მათზე აზრის გამოტანას, რადგან დარწმუნებით ვერც კომპოზიციაზე იტყვი რასმე, ვერც სიმაღლეთა თანაფარდობაზე – ყოველი მათგანი საამისოდ ცალ-ცალკეა შესასწავლი, ეტაპების გამიჯნვითა და მათგან ყოველის რეკონსტრუქციით. დღესდღეობით კი, როგორც მეჩვენება, მშენებლობის ტექნიკასა და ხუროთმოძღვრულ სამკაულზე ძალგვიძს დაკვირვება.

წინაპირველად, საშენი მასალის თაობაზე – თბილელი გრიგორიანებიც, ალი-სა თუ გრემის მცხოვრებთაგვარად, როგორც წესი, აგურით აშენებენ, მაშინ, როდესაც სომხეთში უმთავრესი მუდამ ქვითხურობა იყო,⁴ რაც აღარ ითქმის გვიან-შუასაუკუნოვან ქართლ-კახეთზე. პარადოქსულად, ერთადერთი გამონაკლისი, ქვით შემოსილი ბეთლემის (იგივე ფეთხანის) ეკლესიაა, XVIII საუკუნის 40-იანი წლებისა,

¹ В. С. Налбандян, *Тбилиси в армянских источниках древних и средних веков*, Ереван, 1961, გვ. 108, 110. დამახასიათებელია: მ. ჰასრატიანთან ეს უმეკი „სომეხ თავადად“ იქცა (დასახ. ნაშრომი, გვ. 2), თუმცა ამ წოდებით მისი ვაჟილა მოიხსენიება.

იხ., მაგ., М. Асратян, დასახ. ნაშრომი, გვ.3-5, ასეა – თუბოთი! – საქართველოს ძველი ქალაქები. თბილისი (თბილისი, 2006), გვ. 119-120.

იხ., ერთი მხრივ, М. Асратян, დასახ. ნაშრომი, გვ. 4-5, მეორე მხრივ, ნ. გენგიური, კუპელალე, თბ., 2005, გვ. 177-178. ქ-ნი ნ. გენგიური უთითებს ეახუშტი ბატონიშვილისაგან ამ ტაძრის ხსენებასაც (*ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ*, ტ. IV (თბილისი, 1973), გვ. 336). ჩვენს ამ შეისტორიეს, როგორც ჩანს, წესად აქვს სახელდებით მხოლოდ მართლმადიდებელთა ტაძრები მოიხსენიოს, გრიგორიანულებისას კი მარტო რიცხვს ასახელებს. ასე რომ, ეს მისობას „ცარიელი“ ეკლესია მას, ეტყობა, ქართველებისა ჰგონია. ვფიქრობ, აქედან გამომდინარე, რომ ოდინდელი „ციხის საყდრის“ კონფესიური კუთვნილების საკითხი საბოლოოდ ნათელყოფილი არაა.

ისიც უნდა ითქვას, რომ, მაგ., ნახიჭევანის ოლქში გვაქვს აგურის გუმბათები, უფრო ხშირად ქვის ტანზე დადგმული. ისინი სულ სხვაგვარად არის მორთული, ვიდრე საქართველოს მართლმადიდებლებისა თუ გრიგორიანების სალოცავებშია – როგორც წესი, აქ თითო ნახნაგზე შეისრულთალიანი შიღრმავებაა, რომელიც სწორკუთხა ჩარჩოში ჩასმულად იკითხება (იხ., მაგ., სურ. 7, 11, 42, წიგნი: А. Айвазян, *Памятники армянской архитектуры Нахичеванской АССР* (Ереван, 1981).

ქართველის თაოსნობაა, დიდად გამოჩენილი დიდებულის, გივ ამილახორის აგებული.¹ ახლა, სანამ დეკორზე ვილაპარაკებთ, ისიც ვიკითხოთ, რომელია ამჟამად მდგომთა თუ ასახულებებით ჩვენთვის ცნობილი ტაძრებიდან (მათი მთელი რიგი საბჭოურ ხანაში დაანგრიეს) უადრესი? თავისი „ძირებით“ პირველობა XIV-XV საუკუნეებიდან ნახსენებ ეანქსა ან ფეთხაინს უნდა რეგობდა. მაგრამ ვანქი XVIII საუკუნის ბოლოსკენ „საფუძვლითგან“ თუ არა, საფუძვლიანად მაინც გარდასახეს, ფეთხაინი კი, როგორც ითქვა, ცოტათი ადრე თავიდან აშენდა. ადრიდან, თითქოსდა XIII საუკუნიდან მოდის მოლნინის-მოლნისის-მოლნუსა თუ მულნუს ტაძარი. მაგრამ აწინდელი ნაგებობა 1750-იანი წლებისაა.² ამასთან, რაკი არსებობს ამ ეკლესიაზე 1804-1807 წლებში წარმოებული მშენებლობის ხარჯთაღრიცხვები, სადაც, სხვასთან ერთად, აგურის შეძენაცაა აღრიცხული (ერთხელ სამი ათას ხუთასი ცალისა, მეორედ – გლახა გაბაშვილისაგან 14 ათასი, მესამედ – 200-ისა), ცხადი ხდება, რომ გუმბათი, ალბათ, თავის ყელიანად - ამდროინდელია.³ თუ დანარჩენი ეკლესიების თარიღებს გადავლებთ თვალს, უძველესი მათ შორის სურბ ნიშნისა გამოდის, XVIII საუკუნის პირველი ოცნლეულისა.⁴ აქ, უპირველესად, შემდეგი მიიპყრობს გულისყურს: ტაძრის ტანი ბრტყელი თალოვანი შეღრმავებებით და ცხინვალის ღმრთისმშობელთან ნახსენები „კახური“ ამოღრმავებული ჯვრებით იშკობა, აღმოსავლეთით კი სამკუთხა ნიშები მონყობილი. თაღნარისებრი დანაწევრება ჩვენს გვიანი შუა საუკუნეების არქიტექტურაში არაერთხელ გამოჩენილა (კახეთის XVI საუკუნის ეკლესიებისა თუ 1668 წლის ანანურის ღმრთისმშობლის ტაძარზე). მაგრამ თუ მასალასაც გავითვალისწინებთ (აგური!) და აღმოსავლეთი ფასადის ნიშებსაც, სავსებით უშუალო, პირდაპირ წინამორბედად მჭადიჯურის 1668 წლის წმ. მთავარანგელოზთა ეკლესია დაისახება.⁵ (განსხვავება ისღა არის, რომ სურბ ნიშნის ხუროთმოძღვარმა თაღები სწორკუთხა ჩარჩოებში ჩასვა, რაც XVI საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში – სომხეთშიც! – ისლამურ-ირანული არქიტექტურის ზეგავლენით უფართოესად ჩანს გავრცელებული).

შედარებით მოგვიანო ხანის, უკვე XVIII საუკუნის, მომასწავებელია – ამაზე ცხინვალისა და ბოდორნის ეკლესიების გამო ითქვა – „კახური“ რიგის გოლგოთის

¹ პ. იოსელიანი, *აღწერა თფილისის სიძველეთა* (თბილისი, 2009) (პირველი რუსული გამოცემა – 1866 წ.), გვ. 187; ამილახორამდელი ტაძრის თავგადასავლის აღდგენის ცდა იხ.: დ. ხომტარია, *შენიშვნები თბილისის შუა საუკუნეების ეკლესიებზე, საქართველოს სიძველენი*, 12 (2008), გვ. 233-237.

მ. პასრატიანი 1756-1759 წლებს გვიჩვენებს (დასახ. ნაშრომი, გვ. 7.), დ. ხომტარია (საქართველოს ძველი ქალაქები. თბილისი, გვ. 130) – 1751 წელს.

ნ. ბერძენიშვილი, *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის*, ნ. 1 (თბილისი, 1938), გვ. 205-207, 208, 219, 233-251, 254-257.

უკვე დასახელებულ ნაშრომებთან ერთად ვეყრდნობი ქ-ნი მანანა ქუთათელაძის საცნობარო-მიმოხილვით შრომას „თბილისის ტაძრები“ ნ. 1; მაღლობა უნდა მოეახსენო ავტორს, რომელმაც საშუალება მომცა გამოვეყენებინა ეს გამოსაცემად გამზადებული, მაგრამ ჯერეთ დაუსტამბავი ნიგნი.

მ. პასრატიანი (დასახ. ნაშრომი, გვ. 11) 1703-1711 წლებს უჩვენებს, დ. ხომტარია (დასახ. ნაშრომი, გვ. 126-127) და მ. ქუთათელაძე (დასახ. ნაშრომი, გვ. 261) – 1703-1720 წ-ის შუალედს; უნდა შევნიშნო ასევე, რომ მ. პასრატიანის ტაბ. II-ზე სურბ ნიშის გეგმა ჯივგრამუნადაა მითითებული. გუმბათი საერთო აზრით – 1760 წლისაა.

⁴ მღრ.: ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, სურ. 29-30, ტაბ. 44-47.

ჯერები. თუ მჭადიჯვარ - სურბ ნიშნისგვარ საფასადო თაღნარს (ჩემს ხელთ მყოფი მასალით მაინც) სხვა თბილისურ ეკლესიებზე ველარსად ვნახავთ, ისევე, როგორც სამკუთხა ნიშებს (საქართველოში ისინი XVIII ს-ში მხოლოდღა 1753 წლის ბარაკონის ღმრთისმშობლის ტაძარზე გვხვდება), ჯერების სახებას ლამისაა ყველა მომდევნო საეკლესიო ნაგებობაზე ვხედავთ - მოღნიშვიც, ვანქშიც, წმ. მთაწარანგელოზთა ეკლესიაშიც,¹ ჯივრამენშიც.² არის ისინი ამჟამად (თუმცა, ეტყობა, აქ ისინი XIX ს-ის დანამატია) 1756 წელს ქარაფის (ანდა კლდისუბნის) წმ. გიორგის ცალწავიან (ჩამოსახლებულების - გუმბათიანებია) ეკლესიაზეც.³ ასეთივე ჯერები აქვს სამკაულად 1784 წლის წმიდათა პერაკლიოსისა და დარიას (ან უფლის ფერიცვალების) ეკლესიას, დარეჯან დედოფლის კარის საყდარს. თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ასევე იქნებოდა მორთული თბილისის XVIII საუკუნის სხვა მართლმადიდებელთა ეკლესიებიც - ანტონი I-ის 1756 წლის ქრისტესშობის და ერეკლე II-ის 1783 წლის წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის სახელზე აგებული ცალწავიანი ტაძრები,⁴ XIX საუკუნეში რუსული საეკლესიო ხელისუფლების დანგრეული.

მრავლისმთქმელია სურბ ნიშნის 1780 წლის გუმბათის შემკულობაც, რომლის ელემენტები, ასე ვთქვათ, ორი მოდელიდან მომდინარეობს. სარკმლის ღიობს აქ ლილევი შემოუყვება, ნახნაგების ნიბოებს ლილევიზე შეუულად ასდევს და, ყვავილისებრი (ქვის) ელემენტებით დაბოლოებული, კარნიზის პარალელურად შემოვლებულ ლილეოვან კოზმიდს ადგება; მათ შორის იმავე ლილევით თაღებია გადავლებული; თაღებსა და ღიობებს შორის აგურების ამონევით მიღებული რომბების წყებაა „ჩაღაგებული“, ხოლო თაღნარს ზემოთ (აღმოსავლეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ ნახნაგებზე) ქვის რელიეფური „ხატებია“ (ღმრთისმშობელი, წმ. ნიკოლოზი, ანგელოზები),⁵ მათ შუა კი ლურჯი ჭიქურით ჯერებია „დახატული“. ამ მორთულობის ყველა შემადგენელს - ლილეოვან შეეულ შეერილებსა თუ სარტყელს, ნაქანდაკე ფიგურებსა თუ - მით უმეტეს! - სარკმელთა მოჩარჩოებას ქართულ - უმეტესობას ასევე სომხურ - ხუროთმოძღვრებაში ხანგრძლივი წინანისტორია აქვს. მაგრამ მათი ერთობლიობა აქვე, სულ ახლოს, ვახტანგ VI-ის ნება-სურვილით თბილისის სიონის 1710 წელს მოპურანგებისას უნდა იყოს შექმნილი. გუმბათის ყელის ნახნაგები აქაც ლილე-სარტყელზე მიბჯენილი ლილეოვანი შეერილებით არის განყოფილი; აქაც გვაქვს

¹ მ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94-95. იგი თითქოსდა წმიდათა 40 მონამეთა ძველ-აძველ ტაძარს ჩაენაცვლა, საბჭოთა დროს ის დაანგრინეს, ბოლო წლებში კი, გათხრების შემდგომ აქ წმ. სებასტიელ მარტილთა სახელობის ახალი ეკლესია დაიდგა; XVIII ს-ის ნაგებობა 1780-90-იანი წწ-სად ივარაუდება.

მ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 320-321; მ. პასრატიანი (დასახ. ნაშრომი, გვ. 113) მას 1729 წ-სად მიიჩნევს, რაც, როგორც დაეინახავთ, არქიტექტურულ-ისტორიულად ნაკლებად სარწმუნოა.

დ. ხომტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 113-114.

ეს ცნობები ვახუშტი ბატონიშვილის შრომის XIX საუკუნის დასაწყისის ჩანართებისაა (*ქართლის ცხოვრება*, IV, გვ. 336).

ამ რელიეფების შესახებ, წინასწარულად - ე. კვაჭატაძე, წმ. ნიკოლოზის რელიეფური ხატი ანანურის ღმრთისმშობლის ეკლესიის სამხრეთ ფასადზე, *საქართველოს სიძველენი*, 10, (2007), გვ. 141 და შენ. 15. პირად საუბარში ავტორმა მითხრა, რომ ეს „ხატები“ სომხური ხელობისა უკონია. საველისხმოა: პ. იოსელიანის მიხედვით (დასახ. ნაშრომი, გვ. 188) სურბ ნიშანი თავიდან წმ. ნიკოლოზის მართლმადიდებელთა ტაძარი ყოფილა. იმის აქეთ, ასე იყო თუ არა, წმ. ნიკოლოზი ამ სალოცავთან რაღაცნაირად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

გამოსახულებები, ოღონდ „თაღები“ აქ გარკვევით სარკმელთა ხუთელემენტოვანი საპირის (წერილი ლილეი – ჩუქურთმოვანი არშია – წერილი ლილეი – სადა ზედაპირი – სქელი, თაღის მომხაზავი ლილეი) გარეთა მომსაზღვრელია. ვ. ბერიძე მორთულობის ამ სისტემას XVIII საუკუნისთვის ტიპიურად რაცხს და მის შემდგომ მაგალითებად 1753 წლის ბარაკონისა და (პირობითად!) 1759 წლის ლარგვისის წმ. თეოდორეს ტაძრებს გეისახელებს.¹ ამ სამს ერთმანეთს თუ შევადარებთ, დაეადასტურებთ, რომ ვახტანგ VI-ის ხუროთმოძღვარ-მქანდაკებელთა მონაფიქრი დანარჩენი ორის მშენებლებმა რამდენადმე გაამარტივეს (ალარას ვიტყვი თაღოვანი, თაღებსზედა ლილეებით მოფარგლული – და ლავგარდანის არეთა შეფარდებაზე – ის ყველგან სხვადასხვაა). ბარაკონში, ჯერ ერთი, სარკმელს შემოვლებული მოჩუქურთმებული არშია უფრო განიერი (ადრინდელ, XII-XIII სს-ის მოჩარჩობათა მინაგვანი); შესაბამისად, საპირეს ოთხი შემადგენელი აქვს. მაგრამ უფრო მთავარი გამოსახულებათა უქონლობაა, რომელთაც აქ გირჩები ჩაენაცვლა. ასევეა ლარგვისშიც, ოღონდ საპირე აქ მთლიანად სადაა, გირჩები კი თაღებს ზემოთ კი არა, ლილეოვან თარაზულ სარტყელსა და კარნიზს შუაა მოთავსებული. ყველაზე ახლოს კი სიონისასთან თბილისის ბეთლემ-ფეთხანის გუმბათის ყელია, როგორც ვიცით, XVIII საუკუნის 40-იანი წლებისა. აქ, მართალია, სარკმლის საპირეს ჩუქურთმა არ გააჩნია, მაგრამ იგი ხუთნაწილედია, გამოყენებულია რელიეფებიც, მართალია, ორი (ღმრთისმშობელი და მიჯაჭვული ლომი)² და არა ოთხი (განედლებული ჯვარი, მიჯაჭვული ლომი, მთავარანგელოზი, მაკურთხეველი წმინდანი – მაცხოვარი?).³ შეიძლებოდა გვეფიქრა – და ასეც იყო ალბათ, – რომ ასეთი მსგავსება გვიამილახორის და მის ოსტატთა სურვილია. მაგრამ იგი „წმინდა“ გრიგორიანულ აღმშენებლობაშიც იკიდებს ფეხს, რაც მით უფრო გასაკვირია, რომ საჭირო იყო ქვის დეკორის აგურისთვის მისადაგება, მისი, ასე ვთქვათ, სხვა მასალის ენაზე თარგმნა. სურბ ნიშანს გარდა, მას ვხედავთ ჯიგრაშენის ღმრთისმშობლის ეკლესიაზეც – გუმბათის სამკაული აქ თითქმის ისეთივეა, რაც სურბ ნიშნისა, ოღონდ ყოველი სარკმლის ასწვრივ მოთავსებულ მოსართავთაგან, თითქოს ერთილაა ქანდაკება – მოჯაჭვული ლომი, დანარჩენი კი სულ ჯვრებია. საკუთრივ საპირის ნაცვლად სარკმელს აქაც რომბების რიგი შემოსდევს. ამგვარია მოლნინის გუმბათიც, როგორც ვნახეთ, XIX საუკუნის პირველი ათწლეულისა და, რაც კიდევ უფრო განსაცვიფრებელია, ან ჩამოქცეული გუმბათი უკვე XIX საუკუნისვე შუა ხანის ე. წ. შამქორელთა ღმრთისმშობლის ეკლესიისა,⁴ თუმცა კი, ეს უკანასკნელი, ეგონებ, ეჭვს გარეშეა, ნორაშენის ტაძრის კვალშია ჩამდგარი. აქედან ცხადია, რომ ნორაშენის გუმბათიც სიონი-ფეთხანის სქემას მისდევს, ოღონდ აქ აღარ არის რომბების მწკრივი, რაზედაც – ვიდრე ნორაშენზე სიტყვას გავაგრძელებდე – აგრეთვე მცირეოდენი უნდა ითქვას.

რომბების მწკრივის „საპირედ“ შემოტანა ზუსტად შეგვიძლია დავათარილოთ და ამ მოტივის ასე მოხმარება ქართულ-მართლმადიდებლურ, თან, რაღაც ბედად, ისევე

ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 112; შდრ. ტაბ. 123, 136-137, 281-283.

დ. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 117-119.

ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

მ. პასარატიანი მასზე წერს: „აგურისგან 1735 წელს აშენებული და XIX საუკუნეში საფუძვლიანად გადაკეთებული“ არისო (დასახ. ნაშრომი, გვ. 9) – არა მგონია, აქ XVIII საუკუნისა რამე იყოს, ნაგებობა უფრო XIX ს-ში თავიდან ამოყვანილს ჰგავს (შდრ. მ. ქუთათელაძის დასახ. ნაშრომი).

გიე ამილახორის მოგებულ ტაძარს დავეუკავშიროთ. მხედველობაში, რასაკვირველია, 1753 წელს აშენებული ქვაშეთის წმ. გიორგის ტეტრაკონქი მაქვს, დღეს არსებული ეკლესიის ადგილზე XX საუკუნის დამდეგამდე რომ იდგა. აგურით ნაგები ამ შენობის გუმბათის ყელი ძირიდან კარნიზამდე აყოლებული ნიბოს ლილვებით, სარკმელთა ოთხნაწილედ (ლილვი - სადა ამონეული ზოლი - დადაბლებული სწორი ზედაპირი - ლილვი) საპირების თაღებით და მათ ზევით გატარებული კოზმიდითაა „დახაზული“. სარკმელთა გარეთა „თალის“ მიყოლებით რომბებია „ჩანყობილი“ (აქაც რელიეფური), კოზმიდსა და ლავგარდანს შუა მორჩენილ სიბრტყეზე კი სამი ამოზიდული, ერთმანეთში ჩანერილი სამკუთხედით შედგენილი ფრონტონისებრი სახეებია. ჩვენ უკვე ვიცით, რომ რომბების მოტივი სურბ ნიშნისა და ჯიგრაშენის მაშენებლებმა აიტაცეს. ოლონდ არც „ფრონტონები“ დარჩენილა „უმემკვიდრეოდ“ - მათ სურბ გეოქიის გუმბათზე ვხედავთ (თუმცა „საპირე“ აქ უფრო თაღნარს წააგავს, ნიბოების სვეტები კი აქაც შვეულ ლილვებად იქცა), თან გამდიდრებულს - „ფრონტონების“ ზედა წვერის გაყოლებაზე პანია სამკუთხედებია „დასმული“; არის აქ „კახური“ ჯვარიც ფრონტონზე - ეს კიდევ ერთი მონუმბაა ტაძრის ზედა ნაწილების XVIII საუკუნის ბოლოსკენ აღდგენისა.¹

აი, ნორაშენის - უფრო ზუსტად, მისი გუმბათის - ოსტატები კი ქვაშეთის სიახლეებით არ მოხიბლულან. როგორც ახლახან აღინიშნა, მათ, ასე ვთქვათ, „თბილისის სიონის სქემა“ მოიშველიეს.² მხოლოდ პროპორციების „ზიღვის“ შესაბამისად დაეინოვებულ ნახნაგებზე აქ ოთხი ვინრო „ზოლისაგან“ შემდგარი საპირეა, სარკმელთა ყველა თალის თავზე კი სიონში თავჩენილი ერთ-ერთი ელემენტი - ჯვარი მეორდება. ნორაშენის მშენებლობის რთული ისტორიის გამო - აქ წინამორბედი შენობაც ყოფილა, ახლანდელი კი 1790-იანიდან 1830-იან წლებამდე იგებოდა³ ახლა ვერ ვიტყვი, ნიშანდობლივ როდინდელია გუმბათი თუ ტაძრის „ტანის“ რომელიმე მონაკვეთი, მაგრამ უმთავრესი ჩვენთვის კორპუსის ქვედა „რეგისტრია“, საკმაოდ ღონიერი კოზმიდით მოსაზღვრული, რომელიც, ალბათ, 1790-იანი წლებისა იქნება და მნიშვნელოვან ახალ გადაწყვეტას გვთავაზობს. აქ ერთი მეორეს მისდევს სიმაღლით ტოლი, მსხვაობარი სიგანის თაღები (ვინრო - განიერი - ვინრო, თუმც არც ვინროებია ერთი ზომის). ასეთი დანაწევრება შორეულად X-XI საუკუნეების სომხური ტაძრების თაღნარებს მოგვაგონებს. არა მგონია, ოდესმე შევძლოთ - ახლა ხომ არა და არ შეგვიძლია - იმის დადგენა, იცნობდა თუ არა ნორაშენის არქიტექტორი სომხეთის ძველ ხუროთმოძღვრებას, შეგნებულად, მიზანმიმართულად მოიხმო ეს ხერხი, თუ ის რაღაც სხვა გზით გაჩნდა. ან ის როგორ ვთქვათ დანამდილებით, სურდა თუ არა ამით მისი ნაგებობა სხვათაგან, თუნდაც

¹ იხ. ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 116, სურ. 92-94, ტაბ. 138; ვრცლად ქვაშეთის შესახებ იხ.: კალისტრატე ცინცაძე, *ქვაშეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში* (თბილისი, 1994).

შდრ. დ. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

დ. ხოშტარია შემდეგ თარიღებს იძლევა: პირველი ნაგებობა - 1740 წლის ახლოს, აწინდელი - 1790-1796 წწ., დანამატები - 1830 წწ-მდე (დასახ. ნაშრომი, გვ. 129); დაახლოებით ასევე ესახება სამშენებლო ეტაპები მ. ქუთათელაძესაც: პირველი ნაგებობა - 1751 წ., შემდგომი - 1768-1785, 1808 და 1830 წწ. (დასახ. ნაშრომი, გვ. 239). მ. პასარატიანი ერთადერთ თარიღს გვიჩვენებს - 1737 წ. (დასახ. ნაშრომი, გვ. 12-13), რაც, თუნდაც მრავალი „მოკლასიცისტური“ ელემენტის გამოა დაუჯერებელი.

ქართულ-მართლმადიდებლურთაგან გამორჩეულიყო. მაგრამ, როგორც ჩანს, რალაც დროის განმავლობაში სხეებმა ეს მოტივი სწორედ ასე აღიქვეს. თუ არა, როგორ გავიგოთ, რომ თაღების ამგვარ მწკრივებს ვერ ნახავთ ქართული ტრადიციის ასე თუ ისე გამგძობ XIX საუკუნის თბილისურ ტაძრებზე (ნმ. სამების, ჩულურეთის ნმ. ნიკოლოზის, მთანმინდის) სამაგიეროდ ამგვარი, ერთი სიმალლის თაღები გვაქვს შამქორელთა ზემოხსენებულ ეკლესიასა და XIX საუკუნის მეორე ნახევრის ორ, XX ს-ში დანგრეულ ტაძარზე. ესენია: კუკიის ღმრთისმშობლის (აქ მკლავის არეზე ერთი მალალი, განიერი თაღია, აქეთ-იქით კი, ორ „სართულად“ ვინრო თაღების რიგები) და ნმ. გრიგოლ განმანათლებლის (გოგილოს აბანოსთან – აქაც მკლავის კედელზე მალალი და განიერი თაღია, გვერდით არეებზე ვინრო თაღები, შუაში კი განიერი მონაკვეთი პატარ-პატარა „შეკიდული“, თითქოსდა „ლომბარდული“ თაღებით) ეკლესიები.¹ ვფიქრობ, შეიძლება აქედანვე წარმოსდგებოდეს განცალკევებული, სხვადასხვა სიმალლის თაღები ერშიაძინელთა სურბ გევორქის (XIX ს-ის შუა ხანა),² ქამონათ სურბ გევორქის³ თუ ვერეს ძველი სასაფლაოს (ახლა მართლმადიდებელთა ნმ. პანტელეიმონის) ეკლესიის ფასადებზე.

ამდენად, XVIII საუკუნის გასულს ისახება ისეთი ფორმისმიერი ნიშან-თვისებები, რომელნიც გრიგორიანთა ტაძარს თვალის შეეღებისთანავე შეგვაცნობინებს. მართალია, ეს დროის გარკვეულ მონაკვეთზეა ასე – როდესაც XIX საუკუნის ბოლოსკენ ცნობილი კავკასიელი მოღვაწე, გენერალი ნიკოლოზ ჭავჭავაძე თავის მშობლიურ ყვარელში ნმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას ააშენებინებს (მაშინდელი განწყობილების შესაფერისად, ცხადია, რაც შეიძლება „ქართულს“), აქ აღმოსავლეთ ფასადზე სამკუთხედ ნიშებსაც ამოიღებენ, დანარჩენ კედლებზე კი გარედან „ნორაშენისებრ“ თაღებს გამოსახავენ (თუმცა გადაუბმელს). მაგრამ ეს ყამთა ვითარების მანიშნებელია. ახლა უკვე არსებობს ცნებები „ქართული“ და „სომხური“ სტილისა და უკანასკნელის მაჩვენებლად XVIII საუკუნის მიწურულის ფორმები დიდად არ გამოდგებოდა. თუ რას ნიშნავდა იმხანად „სომხურობა“, დაგვანახებს ვანქის 1901-1902 წლებში არქიტექტორ მიხ. სალამბევიანის „გამშვენებული“ ფასადები – ისინი ქვით შემოსეს და შუასაუკუნოვანს მინაგვანი ჩუქურთმებით მორთეს.⁴

მ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 336-337, 394-395.

² დ. ხოშტარია (დასახ. ნაშრომი, გვ. 113-114) 1846 წელს აშობს, მ. პასრატიათი კი სრულე-ბით წარმოუდგენელ თარიღს – XVIII ს-ის ბოლოსი არისო (დასახ. ნაშრომი, გვ. 10) – არადა ირკვევა, რომ ერშიაძინელი ლტოლვილები აქ 1806 წ-ში ჩამოსახლებულან.

„ქამონათ საყდარი“ 1920-იან წლებამდე იქ იდგა, სადაც ახლა შოთა რუსთაველის გამზირისა და ნატო ვარძაძის ქუჩის კუთხეზე ნეოკლასიციანური საცხოვრებელი სახლია; ის თითქოსდა, 1727 წ-ს უნდა აეშენებინათ, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისის ფოტოსურათებზე გაცილებით გვიანი რამ ჩანს – ეტყობა, ტაძარს XIX ს-ში ან, სულაც, XX ს-ის დამდეგს შეუცვალეს იერი (მ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 287-288.). სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვი ხოჯა-ვანქის ისტორიულად ღირსშესანიშნავ ტაძარზე – ის 1780 წლისა უნდა ყოფილიყო, ოღონდ არსებულ ფოტოებზე გუშბათის მეტი არაფერი ჩანს. ის კი ფრი-ად არქაული, უფრო XVI-XVII სს-ში მოსალოდნელი თაღნართაა მორთული; ამდენად კი, ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს შენობა ახმარბეგ ხოჯა ბებუთაშვილის მიერ მინის ამ ნაკვეთის 1654 წ-ს მიღებისთანავე შეიძლებოდა აეშენებინათ. ასევე სარკვევია ახლანდელ ა. გრიბოედოვის ქუჩასთან მდგარი „ზირკინაანთ საყდრის“ ისტორიაც.

იხ.: ი. ელიზბარაშვილი, ხ. ჭურღულა, კოტე მარჯანიშვილის და ნიკოლოზ ჭავჭავაძის სახლები ყვარელში, საქართველოს სიძველენი, 13 (2009).

რასაკვირველია, თბილისსა თუ საქართველოს სხვა სოფელ-დაბა-ქალაქების გრიგორიანული ეკლესიების შესწავლა ბევრს სხვასაც წარმოაჩენს,¹ მათ შორის, უნდა ვიფიქროთ, ძველ სომხურ ხუროთმოძღვრებასთან მათ მაკავშირებლებსაც. მაგრამ მეჩვენება, რომ უკვე აღარ შეიძლება, ბ-ნ ჰასრატიანივით, რიხით გამოვაცხადოთ: „მთლიანობაში თბილისის სომხურ ეკლესიათა არქიტექტურულ-მხატვრული გადანაცვება სომხური ხუროთმოძღვრების ტრადიციათა ხორცშესხმა“ არისო, ქართულთან რაიმეგვარი მსგავსება კი ირანის ორივესთვის საერთო გავლენას მივანეროთ.² პირიქით, ისე ჩანს, რომ სომეხნიც საკმაოდ დიდხანს, ქართველებივით, ფიქრობდნენ, სადაც მიხვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო და საგანგებოდ თავისი სხვანაირობის წარმოჩენა აზრად არ მოსდიოდათ – ისევე, როგორც არც ქართველებს ერცხვინებოდათ სომხური იქნება, ირანული თუ დასავლეთევროპული (იხ. მანაყის 1794 წლის ღმრთისმშობლის შობის ტაძარი)³ მოტივების თუ ხერხების ათვისება. ასე რომ, გრიგორიანთა ნაშენის ქართულ ხუროთმოძღვრებასთან თანაზიარობა არც სომეხთათვისაა სავაგლახო და არც ქართველთათვის ყელის მოსაღერებელი. იგი ერთგვარ სულისკვეთებას, თუ გნებავთ, უცხოობაში მყოფთა ახალი სამყოფელისადმი დამოკიდებულების ერთ შესაძლო წესს გვისურათებს. სომეხ მოახალშენეებს არც სადმე სხვაგან ჩაუთვლიათ საჭიროდ თავისი ეროვნულობა, ასე ვთქვათ, „არქიტექტურული ენით“ გაეცხადებინათ – იქნებ ყველაზე თვალსაჩინო, ამ კუთხით, რომანოვთა ზეობაში გაიმპერიებული რუსული სახელმწიფოს დედაქალაქ სანკტ-პეტერბურგში 1779 წელს ინგლისელი ფელტენის მიერ აგებული სომეხთა ნმ. ეკატერინეს ეკლესიაა, ყოველნაირად „ევროპული“. სხვათა შორის, არც სირია-პალესტინისა თუ ათონის სავანეებში მოღვაწე ქართველ ბერებს და არც XVII-XVIII საუკუნეებში რუსეთს გახიზნულ ქართველ მეფე-დიდებულებს შეუწუხებიათ, მაინცდამაინც, თავი ქართული „შესახედობის“ ტაძრების შენებით და „ბერძნულებსა“ თუ „რუსულებს“ ჯერდებოდნენ.⁴ ვერაფერი გასაოცარია ამგვარი არქიტექტურული „შენათესავება“ თვით საქართველოს სინამდვილის გათვალისწინებითაც. მაგალითებრ, რომც აღარაფერი ითქვას გაგრიგორიანებულ ქართველებზე – ამკარად სომეხეთიდან გადმოსულნიც ხომ, არსებითად, ქართულენოვანი იყვნენ. სხვაგავრად, რატომღა ინერებოდა ქართულად არა თუ თბილელ თუ გორელ სომეხთა საბუთები (ვთქვათ, დოკუმენტებისთვის „სახელმწიფო“ ენა მოითხოვებოდა), სათავისო თუ თავისიანებისათვის განკუთვნილი ქალაქებიც – თუგინდ „დეკანოზი ტერ-მიქელას“ შედგენილი მოღინის ეკლესიის ზემომოყვანილი ხარჯთაღრიცხვები? საფუძველში

საგანგებო ფიქრი სჭირდება, მაგ., ვანქის ტაძრის ქრისტიანული ამიერკავკასიისათვის არც-თუ ჩვეულებრივ სამგუმბათიანობას.

M. Асратян, დასახ. ნაშრომი, გვ. 14-15.

შდრ. ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 153, სურ. 134, ტაბ. 205-209.

გვაქვს გამოწვევებიც – მაგ., ბაკურიანისძეთა საძვალე პეტრინონი-ბაჩკოვოს მონასტერში ანდა ქართველ მეჭურჭრეთა ნამუშავეი ანტიოქიის მიდამოებში, „შავი მთის“ ქართველთა ძელი ჭებმარტის სავანეში (სადაც, ბ-ნი ვახტანგ ჯობაძის რწმენით – მან ეს თავის მოგონებებშიც კი შეიტანა („ჩემი თავგადასავალი“, თბ., 2009, გვ. 142) სამთავისის კათედრალის ხუროთა ჰამქარს უმუშავია); მაგრამ პირველის „ქართული“ თაღნარი „ბიზანტიური“ წყობით ასეთსავე „სხეულზეა“ გამოყვანილი, მეორეგან კი (იხ. მისი და სამთავისის გეგმები – R. Mepiaschvili, W. Zinzsadse, *Die Kunst des alten Georgien* (Leipzig, 1979), გვ. 158 და 164) „ჩვენებური“ სამკაული „უცხო“ ტანზეა ასხმული.

იგივე მოვლენაა მხატვრობის „ტიფლისური სკოლაც“. კი მოხერხდა, ბოლოს და ბოლოს, მის მხატვართა ხელიდან გამოსულ პორტრეტებში ქართველ და სომეხ ხელოვნთა ნამუშევრების გამოცალკევება, უთუო კია, რომ კულტურულ მოვლენად ისინი უკანასკნელი ბაგრატიონების და რუსთა მმართველობის პირველი ხანის საქართველოს გარემოშია აღმოცენებული.¹ რა თქმა უნდა, არაფერი უდგას წინ აკოფონათანაიანის თუ რომელიმე სხვა სომეხი ფერმწერის სომხური ხელოვნების ნიაღ დანახვას, კულტურულ-ისტორიულად კი ისინი თავისი დროის ქართულ სინამდვილესაა მოუცილებელი. ესეც ერთი შეხედვითაა რამ გაუგონარი – მაგ., კოტე მარჯანიშვილი ან სიმონ ვირსალაძე ნამდვილი ქართველი შემოქმედნი არიან, მაგრამ მოსკოვსა თუ ს. პეტერბურგში ერთის დადგმული და მეორის გაფორმებული წარმოდგენები რუსული თეატრის კუთვნილებაა. ასევე, ვთქვათ, ულაპარაკოდ ესპანელი პაბლო პიკასოს ხელოვნება საფრანგეთის კულტურულ ცხოვრებასაა ჩაქსოვილი და არა ესპანეთისას... ან ასე შორს ნასვლა რად გვინდა – გაეხსენოთ სამ ენაზე ლექსთა გამომთქმელი, გრიგორიან ბერად აღსრულებული და ერეკლე II-ის კარზე მოშაირე საიათ-ნოვა...

ყოველივე ამის გასიგრძეგანებით, განკერძოებული, ატიპიური უფრო ნორაშენის არქიტექტურაა, ერთი პირველ მერცხალთაგანი სომეხთა იმ გონებრივი მოძრაობისა, რომელმაც 1860-1870-იან წლებში თბილისი, კონსტანტინოპოლისა და ვენეციის მსგავსად, მათი ეროვნული თვითცნობიერების გაღვივების ერთ უმთავრეს კერად აქცია.²

ON THE CONSTRUCTION ACTIVITY OF THE ARMENIAN CHURCH IN GEORGIA

Dimitri Tumanishvili

SUMMARY

It is widely known that during the Middle Ages, especially in the last period of this epoch, similar to many Eastern and Western countries, quite a large Armenian diaspora resided in Georgia. Therefore, it is natural that many Armenian Gregorian churches were built (both by ethnic Armenians and by Georgians who had adopted the Armenian faith). Considering this, creative activity of Armenian architects seems of less scale than expected (e.g. among 55 Armenian Gregorian churches studied in Kvemo Kartli by George Gagoshidze and Natia Chantladze, only 8 can be considered doubtlessly “Armenian” from the art historical viewpoint). Besides, in certain cases, Armenian Gregorian churches either do not differ from the Georgian Orthodox ones, or their architectural traits make it impossible to identify the confessional affiliation of these buildings.

Analysis of the 18th century Armenian Gregorian churches in Tbilisi (although, Armenian churches should have been built, at least, since the 13th c., structures of the early date have not survived) reveals

მ. ციციშვილი, *XVIII-XIX საუკუნეების ქართული პორტრეტული ფერწერა* (თბილისი, 1997).

¹ შდრ.: ა. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, წიგნში: ა. ჯორჯაძე, *წერილები* (თბილისი, 1989), გვ. 531.

shared norms with the Georgian Orthodox church architecture. In this respect, especially significant for the Armenians were Tbilisi Sioni Cathedral (after the remodelling in 1710) and Kvashveti church of St. George in Tbilisi (1753, non-extant at present). Only the architecture of Norasheni church (1790) displays some confessional and ethno-cultural peculiarities. This tendency is characteristic of the Armenian churches built in Georgia in the 19th c., and should be linked with the development of new forms of ethno-cultural self-consciousness of the Armenian people.